საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №74
2026 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული:

1. „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ^{13}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{14}“ ქვეპუნქტი:

„ჰ^{14}) საინვესტიციო ოქროს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 173-ე მუხლის „უ^{1}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების შემთხვევაში – „საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენის დამატებითი კრიტერიუმებისა და წესის, აგრეთვე საინვესტიციო ოქროს შესაბამისი ოქროს მონეტების სიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია.“.

2. „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19):

ა) მე-5 ნაწილის („გადასახდელის გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორი“) „659“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს „660“ კოდის გრაფა შემდეგი რედაქციით:

„660	საინვესტიციო ოქროს იმპორტი (დღგ-ისგან გათავისუფლება)“;

ბ) მე-10 ნაწილის („საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორი“) „602“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „604“ კოდის გრაფა:

„604	ASSAY სერტიფიკატი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**